№ 143
ხუთშაბათი, 8 ივლისი, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | [illegible] | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 143
ხუთშაბათი, 8 ივლისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—7)

შევისწავლე რა საეკკლესიო მხატვრობა მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის-წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდოვის სახლი. **ანდრეევი.** (30—78—26)

ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდის, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამ.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—13)

შაბათს, 10 მკათათვეს, საღამოს 8 საათზედ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

„შუამავალი“-ს ამხანაგობის საგანგებო საზოგადო კრების გაგრძელება

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები. (4—6—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** $7^1/_2$—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალება.

სამწუხარო ამბავმა, რომელმაც მთელი რუსეთი დაალონა და დაამწუხრა, ყველას ყურადღება ამიერ-კავკასიის ერთის კუთხის აბასთუმნისაკენ მიაქცია, იმ აბასთუმნისაკენ, რომლის მშვენიერი ჰავა განკურნებას უქადოდა მემკვიდრე ცესარევიჩს და დიდს მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს, მაგრამ ღვთის განგებანი მიუწდომელია: ორშაბათს, 28 ივნისს, მისმა იმპერატორებით უმაღლესობამ ღვთივ განისვენა.

ასეთმა სამწუხარო ამბავმა ძაძით შემოსა ყველა ტომნი, კავკასიაში დასახლებულნი. მწუხარება კავკასიელთა მით უფრო გაორკეცებულ იქმნა, რომ მემკვიდრე ცესარევიჩის უდროოდ განსვენება აქ, ჩვენ მხარეს მოხდა.

ყველამ, დიდმა და პატარამ, წოდებისა, წლოვანობის და ეროვნების განურჩევლად, თავისს ვალდებულებად სცნო მისულიყო აბასთუმანს და თაყვანი ეცა განსვენებულის გვამისათვის.

ყველა სადგურები ბორჯომამდის ძაძით შემოსილ ხალხით იყო სავსე. ბორჯომიდგან აბასთუმნისაკენ მრავალი მიემგზავრებოდნენ ეტლებით, ურმებით და ფეხით. ბორჯომიდგან მიმავალთა ყველას ყურადღებას იპყრობდა კარგა მოშორებით მდებარე აბასთუმნის მთები, სადაც 1891 წლის შემოდგომიდგან სცხოვრობდა კავკასიის უავგუსტოესი სტუმარი.

აბასთუმანში გათენებისას მივედით. ამ დაბაში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ჩვენი ყურადღება პირველადვე უთვალავმა შავმა წერტილებმა მიიპყრო: მაღაზიის წარწერანი, შესავალი კარებები, ფარნის ბოძები, ერთის სიტყვით, ყველაფერი შავის ძაძით იყო შემოსილი. სასტუმროებში, რასაკვირველია, ადგილი ვეღარ ვიშოვნეთ. ხალხი მოდიოდა და მოდიოდა.

ჯერ მზეს თავისი სხივები საკმაოდ არ ამოეშუქებინა, ჯერ დილის ბურუსი სავსებით არ გაფანტულიყო, რომ ზარების სამგლოვიარო რეკა მოისმა და დაბის ქუჩაზედ გამოჩნდნენ შავებში გამოწყობილნი მანდილოსანნი, მამა-კაცები შავის ბანტებით, სტუდენტები, გლეხები, ადგილობრივი და ახლო-მახლო მცხოვრებნი მაჰმადიანნი და სხვანი. ყველა ესენი ეტლებით ან ფეხით ერთის მხრისაკენ მიეშურებოდნენ, იქით, სადაც ამ ჟამად ამართულია ხის ჯვარი და სადაც ღვთივ განისვენა მემკვიდრე ცესარევიჩმა. გზაზედ მარცხენა მხარეს მდებარეობს ალექსანდრე ნეველის ტაძარი, სადაც ისე ხშირად მისი უმაღლესობა ესწრებოდა წირვა-ლოცვას და სადაც გულ-მხურვალედ ლოცულობდა განსვენების წინა დღესაც.

ტაძრის მოედანზედ ამართულია შავი დროშები. შავადვე შემოსილია ეკკლესიის შესავალი კარები და ბოძები. გამვლელნი აქ მუხლს იდრეკენ და მხურვალედ ლოცულობენ. აქედგან ხალხი უფრო მეტად დაღონებული და დაძმარებული სასახლისაკენ მიემართება, რომელიც აგრეთვე შავ ძაძებშია გახვეული. სასახლის წინ ყველა ქუდს იხდის და პირჯვარს იწერს. ბოლოს სასახლეს იქით მოსახვევში გამოჩნდა ის ადგილიც, საითაც ყველანი მიეშურებოდნენ. აურაცხელი ხალხი იდგა იმ ადგილას. პირჯვრის წერით და ღვთის ვედრებით მივუახლოვდით და ჩვენზედ წინ მისულთ შევუერთდით. ჩვენ სხვები მოგვყვნენ და ასე დილიდგან საღამომდე რიგი მოდიოდა და რიგი მიდიოდა. ამ ადგილის მოშორებით ხალხი იკრიბება და ერთმანეთს ელაპარაკება. ვინც-კი იცოდა, უამბობდა გარს შემოხვეულთ სამწუხარო ამბის ყოველსავე ვითარებას. ჩვენც დაწვრილებით გადავცემთ მკითხველებს იმას, რაც უკვე მოკლედ დეპეშებიდგან უწყიან.

ორშაბათს, 28 ივნისს, მემკვიდრე ცესარევიჩი დასეირნობდა ბალში სამფეხათი, რომელიც მოძრაობაში ბენზინს მოჰყავს. დილის 9 საათზედ მისი იმპერატორობითი უმაღლესობა შებრძანდა სამ-ფეხა ველოსიპედზედ და გზა-ტკეცილით ზეკარის უღელტეხილისაკენ გაემართა. ამინდი კარგი იდგა. მემკვიდრე ცესარევიჩი ჩქარა მიდიოდა (მისის უმაღლესობის ველოსიპედი საათში 35 ვერსს გადიოდა).

სასახლის წინ მემკვიდრე ცესარევიჩმა დაინახა ურმით გრაფ ოლსუფიევის სასახლისაკენ მიმავალი ანნა დასოევისა და იმის მოსამსახურე ათანასე სემენიხინი, რომელთაც მაშინვე გზა აუქციეს და მოწიწებით თავი დაუკრეს. მემკვიდრე ცესარევიჩმა გაიღიმა და გზა განაგრძო.

ამის შემდეგ, ანნა ფილიპეს ასულს დასოევისას, როგორც მასვე უამბნია, სულ 10 წუთი არ გასულა, რომ დაუნახავს მემკვიდრე ცესარევიჩი ველოსიპედითვე უკან დაბრუნებული. ამასთან მისი იმპერატორობითი უმაღლესობა სისხლს აფურთხებდა თურმე.

დასოევისამ, შეამჩნია-რა ეს და აგრეთვე დასისხლიანებული კიტელი, მაშინვე სემენიხინი სასახლეში გაჰგზავნა, თვით-კი დიდ-მთავარს მიჰვარდა, ხელი მიაშველა და ჰკითხა:

— რა მოგდით, თქვენო უმაღლესობავ?

— არაფერი,—მიუგო სუსტის ხმით ცესარევიჩმა და მაშინვე მის უდიდებულესობას ფეხები ჩაეკეცა.

დასოევისამ წყნარად და ფრთხილად უავგუსტოესი ავადმყოფი მიწაზედ დაუშვა; შემდეგ დაავლო ცალიერ ლიტრას ხელი და პატარა მდინარისაკენ გაექანა, რომელიც იქვე, 3 საჟენის მოშორებით ჩაჩხრიალებდა. საჩქაროდ მოიტანა წყალი და შეასხა ცესარევიჩს, ამასთან ტუჩები გაუწმინდა შემხმარის სისხლისაგან.

შემდეგ ანნა დასოევისამ წყალი მისთავაზა დასალევად, მემკვიდრე ცესარევიჩმა განიერად გაახილა თვალები, ხელით თანხმობა ანიშნა, მაგრამ... საშინელის სისხლის წამოხეთქის გამო მისმა უმაღლესობამ წყალი ვეღარ მიირთვა.

9 საათსა და 35 წუთზედ მისმა იმპერატორობით უმაღლესობამ მემკვიდრე ცესარევიჩმა და დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ წყნარად, უტანჯველად, ღვთივ განისვენა.

ანნა დასოევისა, რაკი დარწმუნდა, რომ მემკვიდრე ცესარევიჩის გამობრუნებას აღარაფერი ეშველება, ყაზახთა სადგომისაკენ გაექანა. გზაზედ შეჰხვდა ვიღაც ბავშვი მაჰმადიანი, შემდეგ პოდპორუჩიკი კასიმოვი, რომელთაც, მტირალმა უამბო სამწუხარო ამბავი და სთხოვა წასულიყვნენ იმ ადგილას, სადაც მემკვიდრე ცესარევიჩი ჰბრძანდებოდა, თვით კი სასახლისაკენ გაემართა. დასოევის მისვლისათანავე ყაზახები შესხდნენ ცხენებზედ და გზას გაუდგნენ. ამავე დროს სასახლიდგან ეტლებით მოეშურებოდნენ ლეიბ-მედიკი აიკანოვი და მისის უმაღლესობის ამალა.

ღვთივ განსვენებულის ცესარევიჩის გვამი სასახლეში გადაიტანეს. ელვასავით მოედო სამწუხარო ამბავი მთელ აბასთუმანს. მაშინვე ყველა სასახლისაკენ გაემართა სიმართლის შესატყობად.

ამავე დღეს აბასთუმანში ბორჯომიდგან ჩამობრძანდა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე. მეორე დღეს, 29 ივნისს, ღამის 4 საათზედ მოვიდნენ: ტფილისის გუბ. თანამდ. აღმასრულებელი პოლკ. ი. ნ. სვეჩინი, უმაღლესის კარის ეგერმეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე, თავად აზნაურთა წინამძღოლი თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი, ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ე. ვ. ნიმანდერი, იმისი ამხანაგი მოსკალევი, ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი და სხვანი. ამავე დღეს 10 საათზედ აბასთუმანში მყოფ ექიმებმა გასჭრეს ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გვამი.

მემკვიდრე ცესარევიჩის გვამი ტფილისიდგან მოტანილ კუბოში ჩაასვენეს დიდმა მთავარმა ნიკოლოზ მიხეილის ძემ, თავ. გ. დ. შერვაშიძემ, ი. ნ. სვეჩინმა, გენერალ-მაიორმა რილსკიმ, მემკვიდრე ცესარევიჩის მასწავლებლად ნამყოფმა ფ. ი. ტორმეიერმა და სხვათ. შემდეგ გარდახდილ იქმნა პირველი ოფიციალური პანაშვიდი.

ადგილობრივ ალექსანდრე-ნეველის ეკკლესიაში ყოველ-დღე იხდიან პანაშვიდს ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად.

(„კავკასი“)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა პოლკოვნიკობა ქუთაისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს პოდპოლკოვნიკს ქორქაშვილს, რომელიც ავადმყოფობის გამო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან მუნდირით და პენსიით.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ნიკოლოზის კავალერიის სასწავლებლის იუნკერთა ესკადრონის უფროსი, მისი უდიდებულესობის ნიჟე-გოროდის მ

44 დრაგუნის პოლკის პოლკოვნიკი კარანგოზიშვილი, რომელიც დანიშნულ იქმნა სამხედრო სასწავლებელთა მთავარ უფროსთან.

დანიშნულ იქმნა მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა მე-2 ხარისხის დიპლომით კურს დამთავრებული იოსებ ივანეს ძე პაიჭაძე ტფილისის სამოსამართლო პალატის სამოსამართლო ნაწილის თანამდებობის კანდიდატად.

გადაყვანილ იქმნა ბორჩალოს მაზრის ლორიის პოლიციის ნაწილის ბოქაულად კოლეჟსკი ასეს. კვალიაშვილი სიღნაღის მაზრის ქოდალოს ნაწილის ბოქაულად.

## ახალი ამბავი

⁂ 6 ივლისს, მემკვიდრე ცესარევიჩის გვამი აბასთუმანის სასახლიდგან ალექსანდრე-ნეველის ეკლესიაში გაასვენეს. სასახლიდგან კუბო ხელით გამოიტანეს დიდმა მთავარმა ნიკოლოოზ მიხეილის ძემ, კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა, გენერლებმა დოლგორუკიმ, ოლსუფიევმა, ამილახვარმა, ამირეჯიბმა, ბიბიკოვმა, ნიკოლაევმა, სვეჩინმა და სხ. პალიდგან, ოქროს საკაცეზედ დადებული კუბო, ცესარევიჩის მხლებელ რაზმის ჯარის-კაცთ წაასვენეს. სიჩუმეს მხოლოდ ტირილი არღვევდა. მუსიკამ „კოლ სლავენ“ დაუკრა. პროცესიას წინ მიუძღოდა ცერემონმეისტერი კონიარი, შემდეგ ბალიშები მიჰქონდათ ლენტებითა და ორდენებით, მერე მიდიოდნენ ფლიგელ-ადიუტანტები, კამერ-იუნკრები, სამღვდელოება. კუბოს იქით-აქედგან იდგნენ მორიგი აფიცრები. კუბოს მისდევდნენ: დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე, გენერლები: თ. გოლიცინი, დოლგორუკი, ოლსუფიევი, ამილახვარი, ამირეჯიბი, ბიბიკოვი და სხვანი, მთავარ-მართებლის ამალა, ჰოსპიტალის მკურნალები გოპაძის მეთაურობით, სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი, ტფილისისა და ახალციხის დეპუტაციები, ჯარი თავიანთის მუსიკებით. პროცესია ნახევარ ვერსზედ იყო გაგრძელებული. ეკლესიის გალავნიდგან ეკლესიაში კუბო ხელით შეასვენეს დიდმა მთავარმა და გენერლებმა. ეკლესიაში კუბო ბალდახინის ქვეშ დაასვენეს. პანაშვიდის შემდეგ ტფილისის სემენარიის რექტორმა სიტყვა წარმოსთქვა. პანაშვიდებს ჯვართან ყოველ-დღე იხდიან.

(„კავკასი“)

⁂ 5 ივლისს ქუთაისის ქალაქის საბჭომ ერთხმად დაადგინა: 1) მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს და მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას დედოფალს იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს უქვეშევრდომილესად გამოეცხადოს უღრმესი მწუხარება ქუთაისის მცხოვრებთა მემკვიდრე ცესარევიჩის ღვთივ განსვენების გამო, 2) შემკობილ იქმნას ცესარევიჩის კუბო გვირგვინით, 3) ეს კრება მგლოვარობის ნიშნად გადადებულ იქმნას და ამასთან ახლავე საბჭოს და ყველა მოსამსახურეთა თანადასწრებით გარდახდილ იქმნას პანაშვიდი.

⁂ 4 ივლისს ფოთის საკათედრო ტაძარში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს მიერ გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად.

⁂ გუშინ, 7 ივლისს, საქართველოს ექსარხოსი მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესი ფლაბიანე ბორჯომს გაემგზავრა. გუშინვე აბასთუმნიდგან ბორჯომს გამოასვენებდნენ ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გვამს.

⁂ 6 ივლისს ბარონის ალექსანდრე ნიკოლაის გვამი ბეთანიიდგან ტფილისში მოასვენეს მის ბინაზედ, სადაც გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა, ნათესავთა და ნაცნობთა თანადასწრებით. გუშინ, დილის 9 საათზედ, განსვენებულის გვამი ლოტერანგთა ეკკლესიაში წაასვენეს.

⁂ საერო განათლების სამინისტროს ნება-რთვით ამ თვიდგან გორის მაზრის სოფ. ბაკურიანში გაიხსნება სასოფლო სკოლა. ამ სკოლის შესანახად სამინისტრომ გადასდო 400 მან. ყოველ წლივ.

⁂ ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ნება დართო: მიეცეს სათანადო საგუბერნიო მთავრობას უფასოდ უმახლობელესს სახაზინო ტყეებიდგან 30 კუბ. საჟენი წნელი წყლით წალეკილ სახნავ-სათეს ადგილების გასამაგრებლად ქვემო-მაჩხაანის სასოფლო საზოგადოებაში.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ, კავკასიის საინტენდანტო სამმართველოს თხოვნით, წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის მემამულეთ: მოისურვებს თუ არა რომელიმე თქვენგანი იჯარით კავკასიის ჯარისათვის საჭირო ქერის მიცემას 1899—1900 წელსა ი. სულ საჭიროა 50,500 ფუთი ქერი.

⁂ როგორც ისმის, მომავალ სამოსწავლო წლიდგან ახალციხის მაზრაში განზრახვა აქვთ დააარსონ ხუთი სასოფლო საქალებო პირველ-დაწყებითი სკოლა.

⁂ 3 ივლისს დაბრუნდა ტფილისში სოხუმის ოლქიდგან ის კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სოხუმის ოლქში მასალების მოგროვება ადგილობრივ მიწის-მფლობელთა და მათ მიწებზე მცხოვრებთა შორის დამოკიდებულების გამოსარკვევად.

⁂ ფილოქსერისაგან ვაზების წამლობის დროს დაზარალებულ მევენახეთა შორის შემწეობის განაწილების შესახებ გაზ. „ნოვ.“ში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: ადგილობრივი ადმინისტრაცია ისე ანაწილებს ფულებს, რომ ამ ფულის უმეტესი ნაწილი შეძლებულ მევენახეთ ეძლევათ, ხოლო თითო-ოროლა გროში კი უღარიბეს მევენახეთ, თუმცა აღნიშნულ შემწეობის საგანი სრულიად წინააღმდეგია. მიწად-მოქმედების სამინისტროს ამოუჭრია ხსენებული კორესპონდენცია „ნოვ.“-დგან და გამოუგზავნია მიწად-მოქმედების რწმუნებულისათვის, რომელსაც სთხოვს, გამოიძიეთ ფულის განაწილების საქმე და აგვიხსენით „ნოვ.“-ში ასეთის კორესპონდენციის დაბეჭდვის მიზეზიო.

⁂ „რუსკ. ვედ.“-ის სიტყვით გადადებულია 10,000 მან. მდ. მტკვრის კალაპოტის გასაწმენდად.

⁂ როგორც „კაზბეკი“ იუწყება, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს მოწერილობა მოსვლია, რომ ყველა საქალაქო სასწავლებელში, ერთ და ორ კლასიან სასწავლებელთა გარდა, შეიძლება გარეშე პირთ გამოცდა კურს დასამთავრებელ ეგზამენების დროს.

⁂ „კავკასს“ ატყობინებენ, რომ შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროს შესაძლებლად უცვნიათ ნება მიეცეთ დუშეთის მაზრის სოფ. ჯვარის უბნის მცხოვრებთ ნაწილ-ნაწილად გარდაიხადონ, 5 წლის განმავლობაში, მათზედ დარჩენილი საკომლო და საერო გარდასახადები.

⁂ სოფ. საგარეჯოდგან იუწყებიან, რომ იქ ძლიერმა სეტყვამ ნათესი ძალიან გაათუთქო. ზარალი 9,500 მანეთს უდრის.

⁂ იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის სახელობის უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი:

18 წარსულ ივნისს კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწის სადგომში გახსნილ იქმნა ყულაბები, რომლებითაც უსინათლოთა სასარგებლოდ მოკრებილ იქმნა ფული უსინათლოთა კვირიაკეს მართლ-მადიდებელ ეკკლესიაში. სულ ყულაბებში აღმოჩნდა 446 მან. $51^{1}/_{2}$ კაპ.

განყოფილების საბჭო თავისს ვალდებულებად სთვლის გულითადი მადლობა გამოუცხადოს: კნეინა ნ. ი. მუხრან-ბატონს, მ. ი. ბელიავსკისას, ნ. ა. ბუგაევსკისას, მ. ი. ჯაყელს, ლ. ი. დრბოგლავს, ა. დ. გულბერგს, მ. ფ. კლაუსს, ნ. ფ. მარკოვისას, ა. ა. სალკოვისას, მ. ა. სივერსს, კნ. ეკ. მ. და ელ. მ. სუმბათაშვილებს, ნ. ნ. ტროფიმოვისას, კნ. დ. რ. ჭავჭავაძეს, ა. ა. პავლოვსკის, ს. ა. პაშკევიჩს, ა. ნ. სკვარცოვს და ა. დ. ტარიუტინს, რომელთაც იკისრე

# ფელეტონი

## ზამთრის ღამე

(მოთხრობა ლარჟე შკოსი)

(შემდეგი *)

### II

დამშვიდდნენ თუ არა, ვილამაც კარი წყნარად დაარაკუნა. ანაზდად გაიღო სახლის კარი და მოისმა: გამარჯობათ, ჩემო ბატონებო!

— გმადლობთ, უპასუხეს შინაურებმა მოსულსა. სიმონმა შუბლზედ ხელი მიიჩრდილა და დაკვირვებით დააცქერდა სტუმარს. ბარბარემ პირი მოიბრუნა სტუმრისაკენ; ხელ-ახლად გაჩუმდა ანიკოს ჯარას ხრიალი; მეკასრემაც შესწყვიტა მუშაობა.

— მასპინძელო! მოისმა კარებიდამ ხრინწიანი ხმა. მიმიღე დაღალული მგზავრი; მომეცი ნება ერთს საათს სითბოში დავჯდე, დავისვენო და გავითბო ჩემი გაყინული ძვლები, შორიდგან მოვდივარ... დიდხანს არ შეგაწყენთ თავსა.

— მოდი, დაჯექი... უპასუხა სიმონმა.

— გათბი, გათბი, შვილო! ალერსიანად უთხრა ბარბარემ.

გალაღლადებულს ცეცხლის შუქზედ წამოსდგა ახოვანის ტანის კაცი, მხოლოდ ძალიან გამხდარი. სხვილი შალის ტანისამოსი ეცვა, რომლის ცალი მხარი ჩამოჰხეოდა; მაღალ წაღებში შარვალი ჰქონდა ჩატანებული და არც ის იყო მთელი. საზოგადოდ მისი ტანისამოსი სრულიად გამოუსადეგარი იყო მგზავრისათვის ამ საშინელ ქარიან ზამთრის ღამეში. ყინვას გაეწითლებინა მისი გამხდარი ლოყები, მაგრამ ისე-კი არა, რომ სახის სიყვითლე დაემალა. მისი მაღალი შუბლი უფრო მაღალი მოსჩანდა, რადგან იგი გამელოტებოდა, სიცივისაგან აბურძგნულს თმას კარგა ქაღარა შერეოდა.

— ჩამოჯექ ცეცხლთან!—მიიწვია მოხუცმა ბარბარემ: იაკობ! მიუბრუნდა ძმის წულის შვილს,—მოუტანე სკამი!

— სტუმარი დაჯდა; თავისი მუჯურო მუხლებ შუა დაიბჯინა, დაიწყო ხელების ფშვნეტა და ამბობდა:

— ოოჰ, ცივა!.. უჰუ-ჰუ, რა ცივა!.. მშიან კიდეც... დაუმატა დაბალის ხმით...

— ქარი ძვალსა და რბილში უვლის კაცსა, დაურთო ანტონმა.

— გშიან? აიღო თავი მეკასრემ და შეხედა სტუმარს.

— დიდი სიამოვნებით ვჭამდი რასმეს, მაგრამ თან საგძალი არ წამომიღია!.. მიუგო მგზავრმა მწარე ღიმილით და თითქო ხუმრობითაც. მისი ხმა ისე ჰკრიალებდა, როგორც გაუსაპნავ ღერძზედ ურმის ბორბალი. ორი დღეა გზაში ვარ... და უპურობა ჯერ არ გამომიცდია! რა გაეწყობა!.. ხა, ხა, ხა! იგი ლაპარაკობდა ხმა მაღლა და უფრო ხმა-მაღლა იცინოდა, მუხლებ შუა მუჯურო გაუსხლტა და დაეცა იატაკზედ; დასწვდა და საჩქაროდ აიღო.

სუყველანი გაჩუმებული იყვნენ და ისე შესცქეროდნენ ოჯახის უფროსს. სიმონი დიდხანს გაჩუმებული იჯდა, სტუმარს უყურებდა და მერე მიუბრუნდა უფროსს რძალს:

— ეკატერინე, საჭმელი ხომ არა არის რა? გაუმასპინძლდი სტუმარს.

— წვენი და პურია.

— აბა მაშ მოუტანე! შორიდგან ხარ? მიუბრუნდა იგი სტუმარს.

— ნემენცებში ვიყავი! მიუგო სტუმარმა.

— ქარხანაში ხარ სადმე, თუ ეძებ სამუშაოს? ჩვენში, ქარხნებში, დიდის სიამოვნებით იღებენ ნემენცებს.

— მე ნემენცი არა ვარ, მხოლოდ ნემენცებში ვიყავი, პრუსიაში... ჩემთვის სულ ერთია, სადაც უნდა ვიშოვო სამუშაო: ღარიბმა კაცმა სადაც უნდა იმუშავოს, სულ ერთია, ოღონდ სიმშილით-კი არ მოკვდეს...

— მართალია, მართალი... სულ ერთია, სადაც უნდა იმუშავოს საწყალმა კაცმა, ოღონდ ცოცხალი იყოს! სთქვა ვილამაც.

ეკატერინემ დაუდგა ახლად მოსულს მაგიდაზედ ჯამით ცხელი წვენი, კაი დიდი პურის ყუა, სამარილე და კოვზი.

— სჭამე, ღმერთმა შეგარგოს!

მგზავრმა მადლობა გადაუხადა და გაუწოდა პურს გამხდარი ხელი. აღშფოთებით გადაავლო თვალი მაგიდას, თითქოს რაღასაც ეძებსო...

— ნუ გამირისხდები, მასპინძელო! სთქვა სტუმარმა. ძალიან შემცივდა და არაყი ხომ არა გაქვს დამალევინო?

— შეიძლება, შეიძლება! მოიტა არაყი, ეკატერინე!

ეკატერინემ მოიტანა არაყი უბრალო შუშით და მიაწოდა სიმონს. მასპინძელმა დაისხა ცოტა და მიიტანა პირთან... დაუკრა თავი სტუმარს, „ღმერთმა გადღეგრძელოს!..“ სთქვა და დალია. მერე კარგა გაავსო ჭიქა და მიაწოდა სტუმარს. როდესაც მგზავრმა ჭიქას გაუწოდა ხელი ჩამოსართმევლად, გამხდარი თითები უთრთოდა, ჩამოართვა ჭიქა, გადაავლო თვალი ყველას და სთქვა:

„თქვენი სადღეგრძელო იყოს!“ და უცბად მოაპირქვავა ჭიქა პირში. მეკასრემ მამას გადახედა და კრძალვით არაყის შუშას ხელი წაატანა. მოხუცმა ხმა არ გასცა. მეკასრემ დალია და მერე ანტონს უთავაზა:

— დალიე, ანტონ.

— არ შემიძლიან, ცოლი ნებას არ მაძლევს, მიუგო ანტონმა და გადიხარხარა.

ღმერთმანი მიშლის. რამდენი ხანია მეხვეწება: „თუ ერთი ბეწვის ოდენად მაინც გიყვარვარ, ან ღმერთისა გეშინიან, ნუ დალევო, შემომფიცე, რომ არ დალევო“. ამისმა ხვეწნამ ისე გამხადა, რომ სიტყვა მივეცი. ასე არ იყო, მარო!

პატარძალმა მხიარულად გაიცინა, გამოიჩინა თეთრად ჩარაზმული კბილები, ქმარს ალერსით დაადო ბეჭებზედ ხელი და უთხრა:

— მართალია, მე გთხოვე, მაგრამ შენ ჩემის თხოვნით კი არ დაანებე თავი სმას; შენ მიხვდი, რომ სმა კარგი არ არის, ერთის სიტყვით, დაჭკვიანდი.

ბარბარეც ადგა გეჯადგან, მივიდა სტოლთან.

— დალიე! გაამხნევა იგი სიმონმა. აიღო ბარბარემ ჭიქა, აქ მყოფთ თავი დაუკრა, დალია და სველი ტუჩები კაბის სახელოთი მოიწმინდა.

სტუმარი მოხუცს დააკვირდა, თითქოს რაღასაც იგონებსო... ვიდრე გაათავებდა პურის ყუასა და ერთ ჯამს წვენს, სუყველანი კარგად ჩამოათვალიერა, თითქოს ვიღასაც ეძებსო.

— მასპინძელო! შენი ცოლი სადა არის?

— დიდი ხანია მოკვდა. ათი წელიწადი იქნება, რაც მოკვდა, უპასუხა, მასპინძლის მაგივრად არაყისაგან გამხიარულებულმა ბარბარემ. სწორედ იმ წელიწადს მოკვდა, მე რომ სიბერის გამო ადგილიდგან დამითხოვეს. მაშინ ჩემმა ძმამ სიმონმა თავის ქოხში მომცა ბინა და მითხრა: „იცხოვრე ჩემთან დიასახლისის მაგივრად და ოჯახს უგდე ყურიო“. ძალიან ავათ იყო ცხონებული ჩემი რძალი. მას შემდეგ აი აქა მაქვს ბინა. ღმერთო, შენ უშველე იმას ჩემის შებრალებისათვის.

— კმარა, კმარა!—გააწყვეტინა სიმონმა.

— მოკვდა?! ჩაფიქრებით გაიმეორა სტუმარმა და უფრო კარგად დააკვირდა მოხუცს ქალს.

---

*) იხ. „ივერია“ № 142.

უუდაბებით ფულის მოკრება, და აგრეთვე ყველა იმ ეკკლესიის წინამძღვართ, სადაც ფული მოიკრიბა.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ნება დართო ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს ბ-ნს დანილოვს გაასეირნოს თავისი მოსწავლენი სოფ. ავჭალაში ქალაქის წყლის მილების მოწყობილების დასათვალიერებლად.

⁂ საცხებისა და აგრეთვე უმწიფარ ხილის გაყიდვის გამო ქალაქში გახშირდა კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობა.

⁂ ტფილისის ზოგიერთ მცხოვრებთ ამ დღეებში საჩივარი წარუდგენიათ ტფილისის გუბერნატორს ყასაბთა, ბაყალთა და სხვა ვაჭართა თავგასულობის შესახებ.

⁂ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, მთავრობამ ნება დართო იმათ, ვინც სარდაფებში კავკასიურ ღვინოებსა ჰყიდიან, იქვე სარდაფში საუზმეულობაც გაჰყიდონ ხოლმე.

⁂ 6 ივლისს აბასთუმანში ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზედ ასტყდა ჭექა-ქუხილი და დაუშვა წვიმა; წვიმას თან მოჰყვა ქათმის კვერცხის ოდენა სეტყვა, რომელმაც მრავალგან შუშები დაამსხვრია.

⁂ ამ დღეებში სადგ. გრაკალის მახლობლად, ცხენების დაფრთხობის გამო, გადაბრუნდა ალუბლით დატვირთული ეტლი, ქვეშ მოიმწყვდია ზედ მჯდომარე 54 წლის მოხუცი გლეხი ზაქარია ნასყიდაშვილი და ისე დასტკრია, რომ ორი საათის შემდეგ დაშავებული გარდაიცვალა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ტობანიერი**, (ქუთაისის მაზრა). აქეთ თუმცა გვიან იწყეს თესვა, მაგრამ მაინც ჯერ ჯეროვნით გვარიანი სიმინდის ყანები და ამინდიც თავთავის დროზედ ხელს უწყობს; 12 ივნისს საღამოს ამოვარდა მეტად ღონიერი დასავლეთის ქარი, დააყენა ერთი კორიანტელი, დარეკა ნახევრობით კაკალი და, თუ სადმე იყო, ყურძენიც ძირს ჩამოჰყარა.

პარკობა გათავდა 18 ივნისს; ფუთი აბრეშუმის პარკის ფასი არ აწეულა 14 მანეთს ზევით, ბოლო დროს-კი თანდათან ძირს დაიწია ფასმა და 8—9 მანეთზე ჩამოვიდა. ბევრმა იზარალა აბრეშუმის მოყვანაში; ზოგს მოუვლელობით და უსაჭმლობით დაეხოცა ჭიები, ზოგს იმის გამო, რომ ავადმყოფი თესლი შეხვდათ. აქაურ ორ-კლასიან სასწავლებელში სამი მისხალი თესლიდგან შეკრიბეს 73 გირვანქა პარკი; პარკი და ძაფი, ამოღებული შინაურის საშუალებით გაიგზავნა ახალსენაკში 20 ივნისის გამოფენაზედ.

4 ივნისს, ღამით, აქ მოვიდა ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი მიხაილოვი; 5 ივნისს მოახდინა მთელი საზოგადოების კრება და გამოუცხადა, რომ საზოგადოებამ დაასახელოს ქურდები და მავნე კაცები და დაადგინოს განაჩენი მათი აქედგან გადასახლების შესახებ. საზოგადოებამ ხევის თავებს გარდა აარჩია კიდევ რამდენიმე სამედო კაცი, დააფიცა და დაავალა ამ გვარის მავნე კაცების სიის შედგენა. არჩეულმა კაცებმა დაასახელეს ოთხი კაცი, ერთი აზნაურთაგანი და სამი გლეხი; საზოგადოება თანახმა გახდა ამ კაცების გადასახლებისა. შესდგა განაჩენი და დაიწყეს ხელის მოწერა, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ასი კაცი ხელ-მოუწერლად გაპარულიყო. ბ-ნი მიხაილოვი გაჯავრდა ამაზედ და უბრძანა მამასახლისს, 7 ივნისს დილით ადრე ხელ-ახლა შეეკრიბა მთელი საზოგადოება, რომელიც შესდგება 750 კომლის გლეხისაგან. ხალხმა ასტეხა ყვირილი და წყევლა-კრულვა: „ღმერთმა დააქციოს ქურდის და ცუდი კაცის ოჯახი, გვპარავენ, გვძარცვავენ და კიდევ მათთვის მუშაობის დროს ვცდებითო!“ მაზრის უფროსის თანაშემწე მუხაურის საზოგადოებაში წავიდა, ხალხი კი ბუზღუნით დაიშალა. 7 ივნისს დილით შეიკრიბა მთელი საზოგადოება, მოვიდა ბ-ნი მიხაილოვიც და შესდგა ახალი განაჩენი. საზოგადოებამ დაადგინა: გადასახლებულ იქმნენ აქედგან 4 კაცი, ამათ რიცხვში— გლეხი ფ. ბუზუტეიშვილიც, რომელიც ამას წინად განთავისუფლდა საპყრობილედგან და მიიღო საზოგადოებამ, და ეხლა-კი ხელ-ახლა ხელი მოაწერეს მის გადასახლებაზე. საზოგადოებამ გამოუცხადა მაზრის უფროსის თანაშემწეს, რომ ბუზუტეიშვილის მიღების შესახებ ვითომ ისინი არ იყვნენ თანახმა, მაგრამ მაინც კანცელარიამ მოახერხა მისი მიღებაო. ხმა დადის, ვითომ ეს განაჩენი არ დამტკიცდებაო, რადგან გლეხების განაჩენში აზნაური არ ჩაიწერებაო; აზნაურების შესახებ ცალკე უნდა შესდგეს განაჩენი და თავადაზნაურობამაც უნდა მიიღოს მონაწილეობაო.

26 მაისს აქაურ ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებელშიაც გადაიხადეს დღესასწაული დაუვიწყარის ა. ს. პუშკინის დაბადების დღიდგან ასის წლის შესრულების გამო. დილის 9 საათზედ სამღვთო სჯულის მასწავლებელმა მღვდელმა ა. მომფორიამ მოსწავლეებისა, მასწავლებლებისა და გარეშეთა თანდასწრებით, გადაიხადა პანაშვიდი; შემდეგ ზედამხედველ მასწავლებელმა გააცნობინა იქ დამსწრეთ ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა მგოსნისა; მეორე მასწავლებელმა წაუკითხა მოსწავლეებს რამდენიმე ნაწარმოები პოეტისა. შემდეგ გაიმართა სიმღერა და სხვა-და-სხვა თამაშობა. 8, 9 და 22 ივნისს ამ სასწავლებელში დანიშნული იყო გამოცდა მოსწავლეებისა; ეგზამენს დაესწრნენ აქაურ მასწავლებლებს გარდა მახლობელი სკოლის მასწავლებლები და ორი ქუთაისელი მასწავლებელიც. მოსწავლეები გაბედულად უგებდნენ პასუხს ყველა კითხვებზე და მშვენიერ კილოზე კითხულობდნენ ბუნების კარიდგან სხვა და-სხვა მწერლების ლექსებს. მეორე კლასის მეხუთე განყოფილება გაიხსნება ამ სკოლაში 1-ლ სექტემბრიდგან და ამ რიგად ტობანიერის სასწავლებელში 2 კლასი იქნება ხუთი წლის კურსით. ორი წელია, რაც აქ არსებობს მეორე კლასი და ამ ხნის განმავლობაში ხალხი დარწმუნდა, რომ სარგებლობა მოაქვს სასწავლებელს და ხალხიც ამის გამო უწინდელებრ გულგრილად აღარ ეკიდება სკოლის საქმეს. ამ ჟამად ხუთივე განყოფილებაში სწავლობს 133 მოსწავლე, მომავლისათვის ეხლავე მთხოვნელები 60-ზედ მეტია, მაგრამ ადგილი მეტად სჭირს.

18 ივნისს, შუადღისას, ცეცხლი გაუჩნდა აქაურ ღარიბ მოსახლის ნაფეტვარიძის სახლს. თითონ ნაფეტვარიძე არ ყოფილიყო სახლში, ცოლი მეობის გამო ლოგინად წოლილიყო. სახლს უკან ჰქონდა ჩალის მოდგმული, სადაც ბავშვს სადილობისას ცეცხლი დაენთო; ცეცხლი დიდი მოსკლოდა და მოსდებოდა ჩალას. ავადმყოფ ქალს მღვიძს და გამოესწრო გარედ ჩჩვილი ბავშვით. დაეწვა თუ რამ მოეპოვებოდა სახლში; სიმინდიც ვერ გადაარჩინეს სასიმინდეში. ზანდუკში ჰქონდა 35 მან. აბრეშუმის პარკით ნაშოვნი, საწყალს ისიც დაეწვა. მადლობის ღირსია ამავე სოფლის ბლაღ. მღვდელი ი. მამფორია, რომელმაც შეკრიბა თავისს მრევლში დაზარალებულის თითო-ორორი მანეთი. ამ საქმის გამო პოლიციის ბოქაული მოვიდა აქ.

ვლადო ბზვანელი

## რუსეთი

სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა და უნივერსიტეტის რექტორთა კრებამ, რომელიც ამ დღეებში გათავდა პეტერბურგში, შეიმუშავა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღების წეს-რიგი, რომელიც განზრახვა აქვთ შემოიღონ ახლო მომავალში.

— მიწად მოქმედების სამინისტროს მეცადინეობით მომავალ სამოსწავლო წლიდგან სასოფლო მეურნეობის სწავლება შემოღებული იქმნება საერო განათლების სამინისტროს 16 სასწავლებელში, 8 სამოსწავლო სემინარიაში და სასულიერო უწყების 8 სასწავლებელში.

— უწმ. სინოდმა დაადგინა ის განსაკუთრებული წესები, რა წესითაც უნდა არჩეულ და დამტკიცებულ იქმნან ხოლმე საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოების და მათის სამაზრო განყოფილების წესები.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ახალმა სამინისტრომ ისეთი თავდაჭერილობა და სიფრთხილე გამოიჩინა თავისის მოქმედების დროს, რომ ყველა გაოცდა, რადგან ბევრს ეგონა, რომ ერთსა და იმავე სამინისტროში გენერალის გალიფეს

---

— შენ, დიდი დედა, ბარბარე არა ჰქვიან?

— ბარბარე! სიხარულით წამოიძახა მოხუცმა.

— შენ საიდგან იცი?—ჰკითხა ანტონმა...

ეს სიტყვები ვერ გაიგონა, თუ პასუხის მიცემა არ უნდოდა, სტუმარმა ხმა არ გასცა, იჯდა მხოლოდ და ათვალიერებდა იქაურობას.

— დიდი ხანია, მასპინძელო, რაც ეს სახლი დადგი?

— სახლი ძველია, უპასუხა სიმონმა; მხოლოდ არაა დიდი ხანი, რაც გადავაკეთე: დაბლა ხეები გამოვცვალე და ფანჯრები გავადიდე...

— ჰოო! კიდეც იმიტომ, ეს სახლი როგორღაც უწინდელს არ ემსგავსება.

— განა როდესმე ყოფილხარ აქა? ჰკითხა მეკასრემ.

არც იმას უპასუხა მგზავრმა, შეხედა ჯერ იმას და მერე ანტონს:

— მაშ ეგრე, ჰა! აღარც ოჯახის დედაა და აღარც იაკობი!

— რომელი იაკობი?.. გაუბრწყინდა სიმონს თვალები და ჰკითხა მგზავრს.

რომელი იაკობიო! ნუთუ მასპინძელს დაავიწყდა თავისი მესამე შვილი?

— შენ აქაური ხომ არა ხარ, რომ ასე დაწვრილებით სუყველაფერი იცი? მიუბრუნდა მარო სტუმარს.

— როდის იყავ აქა? გაოცებით ეკითხებოდა მოხუცი ბარბარე.

— როგორც სჩანს, ჰყოფილხარ და დიდი ხანიც უნდა იყოს მას აქეთ, რაც შენ აქა ჰყოფილხარ? უთხრა სიმონმა. მგზავრს სახე აელეწა...

—

დიდი-ხანია, ძალიან დიდი ხანი, რაც მე აქ ვიყავ... აი ეხლა რომ მივიხედ-მოვიხედე, ზოგიერთები მაგონდება. აქ მახლობლად მოჯამაგირედ ვიდექი, სთქვა უცნობმა.—როდისაც ბარბარე მოსამსახურედ იდგა, როდესაც თქვენ ეს სახლი გადაკეთებული არა გქონდათ, მაშინ ვიყავ აქა.

— სჩანს ძალიან დიდი ხანი იქნება მას აქეთ, ასე ოცი წელიწადი. სთქვა სიმონმა.

ოცი-კი იქნება... მეტი-კი არ უნდა იყოს, უპასუხა სტუმარმა.

— უ უ უ! ბევრს წყალს ჩაუვლია მას შემდეგ, შენიშნა მეკასრემ.

— ბევრს! ამოიოხრა სტუმარმა.

სიმონი დააცქერდა დაკვირვებით სტუმარს:

— გიყურებ და ვეღარ მომიგონებია: ხან, მგონია, რომ მინახავხარ, ხან—თითქოს არ მინახავხარ.

— არ ამაყენოს ღმერთმა ამ ალაგიდგან, სთქვა ბარბარემ, თუ მეც ეგრე არ მეგონოს... მემცნაურება კიდეც და არც მემცნაურება.

— მე-კი კარგად მახსოვს, შენ რომ შენის ბინიდგან მოხვიდოდი და მე მელაპარაკებოდი ხოლმე...

— ახა, ღმერთო ჩემო! თითქოს რომ მემცნაურება შენი სახე, მაგრამ ვეღარ მომიგონებია...

გაათავა ჭამა სტუმარმა, გაიწია ცეცხლიდგან და მიუჯდა ანიკოს.

— მასპინძლის ქალი ხარ?

— დიახ.

— უმცროსი? ჯერ ოცისა არ იქნები.

— ჯერ არა.

— უფროსი შენი და ზინა სადღა არის? ისიც ხომ არ მოკვდა?

— არა, ცოცხალია.

— გათხოვილია?

— გათხოვილია.

— სადა? ამავე სოფელში?

— არა, ლეხნოიში, აქედგან ოცი ვერსი იქნება.

— ჰოო!!

ჩაფიქრდა სტუმარი, მერე ერთი მწარედ ამოიოხრა. ამ ლაპარაკის დროს პატარა იაკობმა შეამჩნია, რომ ბებია ბარბარე მიეპარა არაყის ჭურჭელს. დაისხა ერთი ჭიქა არაყი, გადუშვა შიოს მარანში და დაითვრა კიდეც. იაკობმა ბებიას ხუმრობა და სიცილი დაუწყო... მეკასრე მიუბრუნდა თავისს ცოლს და ელაპარაკებოდა, მარიამს სიცილი წასქდა იაკობისა და ბარბარეს ხუმრობაზედ...

მდუმარედ იყო მხოლოდ მარტო სიმონი... შეეშტერებინა სტუმრისთვის თავისი თვალები და მწარე ფიქრებს გაეტაცნა... ამ ღრმა ფიქრებიდგან გამოარკვია ანტონის მხიარულმა სიცილმა.

— მართლა!—ეკითხებოდა სტუმარს ანტონი, შენ მთელს ქვეყანას უვლი და ბეკისა ხომ არა გაგიგონია-რა?

— როგორ არ გამიგონია, გამიგონია, აქ ახლო-მახლო მხოლოდ იმის ზრუნვაში არიან...

— იმის ზრუნვაში არიანო, ღმერთმა სუყველას აშოროს მაგისთანა ზრუნვა! შენიშნა ანტონმა:

— როგორ ჰფიქრობ, ძმობილო, დაიჭერენ თუ ვერა?

— კარგი იქნება, რომ დაიჭერდნენ. მწერალი ამბობდა: „უბედურება იქნება, თუ ვერ დაიჭირეს! დაიწყობა ქურდობა, ძარცვა... თუ ის თავისუფლად იქმნა, ბევრს უბედურებას შეამთხვევს ხალხსაო“.

ეშმაკიც ვერ დაიჭერს იმას, თუ ის ისეთი თვალ-მაქცია, როგორსაც ამბობენ! სთქვა მეკასრემ. არა ძმაო! თუ ორჯერ გაიქცა, მესამედაც გაიქცევა. საშინლად-კი მიკვირს: როგორ გაიქცა ქალაქის საპყრობილედგან?.. იმ სიმაღლე კედლები აქვს, ფანჯრებს სულ რკინის ბადეები; ძირ ფანჯრებთან სულ თოფებიანი დარაჯები დადიან. მე ვგონებ, რომ მაგისთანა მახიდგან ჩიტსაც-კი უნდა გაუჭირდეს გამოძრომა.. არა, რკინებს კბილით ხომ არ დაამტვრევდა.

— არა, მოკლედ მიუგო სტუმარმა, რკინას როგორ გაჰკვნეტდა კბილებით!

— ვსთქვათ, ახლა, იშოვა ქლიბი, განაგრძო მეკასრემ, გაქლიბა რკინა... ტუსაღები ხომ მესამე სართულში არიან, იქიდან როგორ უნდა გადმოხტეს კაცი ისე, რომ არა დაიმტვრიოს რა! ან-კი სული როგორ შერჩა!

ასე ამბობენ. არ გადმომხტარაო.

— მაშ ეშმაკმა ფრთები გამოასხა?! ცხარობდა მეკასრე.

— იქნება კუდიანმა თავისი ცოცხი ათხოვა! სთქვა სიცილით ანტონმა

ანიკოსა, პატარძალსა და იაკობს გაეცინათ, ჩაიცინა სტუმარმაც:

— ამბობენ, ვითომც ქოლგით ჩამოშვებულაო.

— ქოლგითაო?

— ხო! აქ ძნელი არა არის რა ასე: აილო სტუმარმა თავისი ჯოხი და აუხსნა. ხან ასწევდა ჯოხს და ხან დაუშვებდა:

ვთქვათ, ეს ქოლგა არის, დიდი ქოლგა... აილო ქოლგა, გაშალა, გამოჰყო ფანჯარაში, მოსჭიდა მაგრად ხელი და გადმოეშვა უცბად, ისე-კი, რომ გახსნილი ქოლგა ზედ თავზედ ჰქონოდა... უქოლგოდ კისერს მოიტეხდა კაცი, ქოლგას-კი ქარი მაღლა იტაცებს და კაცი ნელ-ნელა დაბლა მიწაზედ ეშვება... შესაძლოა ცოტა იტკინო რამე, ცხვირი გაიტეხო, ეს არაფერია, ოღონდ-კი ფეხები შეგრჩეს მთელი... ქოლგა იქვე კედელზედ ჰნახეს მიყუდებული, ტყვესას-კი კვალიც ვერ მიაგნეს. ამ მოთხრობის დროს მგზავრი მხიარულად იცინოდა, თითქოს სკოლის მასწავლებელი თავს აწონებს თავის პატარა ამხანაგებს თავისის ეშმაკობითაო.

ნ. მღვდლისშვილისა

(შემდეგი იქნება)

და სოციალისტის მილიერანის ყოფნა ადად შეაფერხებდა სამინისტროს თანხმობით მოქმედებას. განსაკუთრებით მილიერანი მიაჩნდათ სამინისტროსთვის საშიშ კაცად. მაგრამ, ნამდვილი რომ ვთქვათ, მილიერანი მხოლოდ იმას შეიძლებოდა მოსჩვენებოდა საშიშ კაცად ამ შემთხვევაში, ვინც მას კარგად არ იცნობს. ძნელად მოიძებნება ისეთი რევოლუციონერი, რომელსაც მილიერანზედ უფრო დამშვიდებით შეეძლოს ლაპარაკი და მაზედ უფრო რბილი ხასიათი ჰქონდეს. მას არ აკლია არც ხასიათის სიმტკიცე და არც გამბედაობა. მას ღრმად შეუძლია საქმის გაშვერეტა-გამოკვლევა და მარჯვედაც იყენებს თავისს გამონაკვლევს. მაგრამ ის არასოდეს არ ჰკარგავს ზომიერების გრძნობას. და ასეთია იგი არა მარტო მაშინ, როცა რაიმე საქციელის ჩადენა გადაუწყვეტია, არამედ იმ შემთხვევაშიაც, როცა საჭიროა მისთვის გაჭირვებულ მდგომარეობისაგან თავის დახწევა, ან უხერხულად გადადგმულ ნაბიჯის გასწორება. ეს არის საამაგალითო სიფრთხილით, დაკვირვებით და სიმარჯვით მომქმედ კაცის ტიპი. ეს გარეგნობით მოუხეშავი, უხერხული და მორცხვ მანერების მქონე კაცი საოცარ სიმარჯვეს, მოქნილობას და მოძრაობას იჩენს საპოლიტიკო ასპარეზზედ. კერძო საუბრის დროს ის მშიშედ, ყოვლად უსიცოცხლოდ და აღუფრთოვანებლად ლაპარაკობს, მაგრამ ტრიბუნაზედ-კი სრულიად სხვაფერდება: მაზედ უფრო მტკიცედ, დარწმუნებით, გაბედვით და ხელოვნურად მოლაპარაკე ძნელად მოიძებნება. თავისი პირველი პოლიტიკური მომზადება მან მიიღო გაზეთის „Justice“-ის რედაქციაში, რომელსაც სცემდა კლემანსო. რედაქციას მან თავი დაანება მას შემდეგ, როცა რენის დეპარტამენტში დეპუტატად აირჩიეს. მალე ამის შემდეგ ის გამოვიდა რადიკალთა დასიდგან სწორედ იმ დროს, როცა ეს დასი უკიდურეს წერტილამდე გაძლიერდა, რის შემდეგ კიდეც დაეცა. მილიერანი გადავიდა სოციალისტთა დასში, რომელიც ამ დროს უძლური და დაქსაქსული იყო, მალე შეიქნა ამ დასის მეთაურად და თავისის საორატორო ნიჭით და ტაქტით დიდად შეუწყო ხელი მის გაძლიერებას. მილიერანის შესვლა ვალდეკ-რუსოს სამინისტროში გაჰკიცხეს სოციალისტთა ყველა მეთაურებმა, ჟორესის გარდა, მაგრამ მთელი დასი კი თანაგრძნობით მოეკიდა ასეთს ნაბიჯს. მილიერანი ისე შევიდა სამინისტროში, რომ არავის რჩევას არ დაჰკითხებია, და თითონვე იკისრა პასუხისგება თავისის საქციელისა, მაგრამ ეს საქციელი სრულიად ეთანხმებოდა იმ ტაქტიკას, რომელსაც ადგას სოციალისტთა დასი და რომელსაც საგნად აქვს პოლიტიკურ ძალის მშვიდობიანად ხელში ჩაგდება არჩევანების მეოხებით. პალატამ მილიერანი მეგობრულად მიიღო მელინის უკმაყოფილების მიუხედავად. ეს საკმაოდ აიხსნება იმ სიმარჯვით, რა სიმარჯვითაც მილიერანმა გადასჭრა რამდენიმე საძნელო საქმე; მაგალ., კანონი შრომის პირობებისა და მუშათა უბედურ შემთხვევებისათვის მეპატრონეთაგან პასუხის გების შესახებ.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, დრეიფუსის საქმის გამო სამართალში მიცემულ იქმნებიან არა მარტო ახალმენთა მინისტრად ნამყოფი ლებონი, არამედ გვიანის (ხანდაც ეშმაკის კუნძულის) გუბერნატორი დენიელიც, რომელიც მეტად სასტიკად ეპყრობოდა თურმე დრეიფუსს. აი, სხვათა შორის, ამის გამო რასა სწერს გაზ. „Figaro“: „დრეიფუსის სადგომი განგებ გახრიოკებულ კლდეზედ იქმნა გამართული. სადგომს წინ არავითარი ეზო, არავითარი გარდასახედი არა ჰქონდა. დარაჯებს ნება არა ჰქონდათ დაჰლაპარაკებოდნენ. როდესაც საფრანგეთში ლაპარაკი დაიწყეს, რომ პატიმარი უდანაშაულოაო, გვიანის გუბერნატორის ბრძანებით, დრეიფუსს ფეხებში ხუნდები გაუყარეს, შემდეგ ერთი თვე გარედ აღარ უშვებდნენ და საჭმელად მხოლოდ გამხმარ პურსა და წყალს აძლევდნენ. ბოლოს ისიც გამოუცხადეს, რომ „შენმა ცოლმა შენზედ ხელი აიღოო“.

—

**ბოლგარია.** საგანგებო კრების დასრულების დროს საერო კრებამ ერთი ახალი კანონი შეიწყნარა. ეს კანონი შეეხება შემწეობის აღმოჩენას მოუსავლობის დროს იმათთვის, ვინც მეურნეობას მისდევს. ბოლგარია უმთავრესად მეურნეობის ქვეყანაა, მრეწველობა და ვაჭრობა იქ მალიან მცირედ არის განვითარებული, ამიტომ ხალხის კეთილ-დღეობაც სავსებით მეურნეობაზედ არის დამოკიდებული. წელს, უწვიმობის გამო, იმდენად მდარე მოსავალს მოელიან ზოგიერთ პროვინციაში, რომ შიმშილობა თითქმის აუცილებელი იქნება. საერო კრებამ დაადგინა, ფინანსთა სამინისტრომ შეკრიბოს დაწვრილებით ცნობები მოსავლის შესახებ და ვინც მეტად დაზარალებულნი აღმოჩნდებიან, განათავისუფლოს გარდასახადისაგან. ეს გარდასახადი სოფლელთ შემდეგ, 3—5 წლის განმავლობაში, უნდა გაისტუმრონ.

— ის ხმა, რომ ბოლგარიაში საფინანსო ხელშეკრულობათა გამო არეულობააო, დეპეშებით უარ-ჰყვეს, მაგრამ, როგორცა სჩანს, მართლდება. როგორც „Berl. Tagebl.“-ის კორესპონდენტი იუწყება, ბოლგარულ ოპოზიციონურ გაზეთებში ბევრი ისეთი წერილია მოთავსებული, რომელიც აშკარად ჰყოფს, რომ ბოლგარიაში საქმე კარგად არ არისო.

## ჟურნალ. გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ამერიკულ სასტატისტიკო ბიუროს მიერ შეკრებილ ცნობებ დგანა სჩანს, ამ ჟამად მთელ დედამიწის ზურგზედ ნავთს თორმეტ ადგილას აწარმოვებენ. ამ ადგილებიდგან გააქვთ წელიწადში სულ 5 მილიარდი გალონი (0,3694 ვედრა) ნავთი. პირველი ადგილი ნავთის წარმოებით უჭირავს ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამერიკას მისდევს რუსეთი. მესამე ადგილი ავსტრიას უჭირავს. მაგრამ უმთავრეს მეტოქეებად ნავთის წარმოების საქმეში არიან შტატები და რუსეთი. პირველობა ამერიკისა ამ საქმეში აიხსნება იმით, რომ იქაური ნავთი რუსეთისას სიკარგით ბევრად სჭარბობს. თუმცა მესამე ადგილი ავსტრიას უჭირავს, მაგრამ ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ახლო მომავალში იმას კუნძული სუმატრა გაუწრობს-სადაც ძალიან ბევრი ნავთი აღმოჩენილა და წარმოებას შედარებით ამ ცოტას ხანს შესდგომიან.

* * *

იტალიანური გაზეთები შემდეგ ამბავს იუწყებიან. ამ რამდენისამე დღის წინად დანიშნულს ქიმიკოსს სკუდერინს მეტად სამწუხარო ამბავი შეემთხვა. რილაცის გამოკვლევის დროს დინამიტი აფეთქდა, რამაც ქიმიკოსი ძალიან დაამშავა; საცოდავმა თვალთ დაჰკარგა, ამას გარდა ხელ-ფეხი იმდენად დაუშავდა, რომ ექიმებმა საჭიროდ სცნეს ორივე ფეხის და მარჯვენა ხელის მოჭრა. მიუხედავად ყველა ამისა იმისმა დანიშნულმა არამც თუ თავი არ გაანება თავისს საქმროს, არამედ გადაჭრით განაცხადა უეჭველად ჯვარი უნდა დავიწეროთო. მართლაც დაშავებულ-დაკოდილ ქიმიკოსსა და ახალგაზრდა ქალს მარიამ მუსსას ჯვარი ამ რამდენისამე დღის წინად დაუწერიათ.

* * *

ყველამ უწყის, რომ სირაქლემა მეტად ღორმუცელა რამ არის. ეს ფრინველი თითქმის ყველაფერს გიახლებათ, რასაც მოახელებს და ხელთ ჩაიგდებს. ამას წინად პარიჟის მუზეიში ერთი სირაქლემა მომკვდარა. როცა გაუჭრიათ, იმის მუცელში შემდეგი ნივთები უნახავთ: 4 მოზრდილი კენჭი, 71 წვრილი კენჭი, 7 ლურსმანი, 13 სპილენძის ფული, 14 შუშის ნატეხი, ერთი ფრანკი (ფრანგული ფული), 2 გასაღები და ერთი ჯვარი მავრიკისა და ლაზარეს ორდენისა.

* * *

როგორც ამერიკელების მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, ყველაზედ მეტ თამბაქოს ამერიკელები სწევენ. იქ თითო კაცზედ წელიწადში 3 კილოგრამმა თამბაქო მოდის, ჰოლანდიაში—2.8 კილოგრამმა, ბელგიაში—2, 5 კილ., შვეიცარიაში—2,3 კილ., ავსტრო-უნგრეთში—1, 9 კილ., შვეციაში—1, 2 კილ., რუსეთში—0, 9 კილ., საფრანგეთში—0, 8 კილ., იტალიაში—0, 7 კილ., რუმინიაში—0, 2 კილ. და დანიაში—0, 1 კილოგრამმა.

* * *

სათეატრო ქრონიკა ბევრს სასაცილო ამბავს მოგვითხრობს. აი, რამდენიმე ესეთი ამბავი. ერთი არტისტი პიესით სცენაზედ ლოგინში მწოლარე უნდა „მომკვდარიყო“. თავისს დროზედ არტისტი ტახტზედ წამოწვა და „მოკვდა“ კიდეც. მაგრამ, საუბედუროდ, სწორედ იმის პირდაპირ ჭერზედ დიდი ჭრაქი ეკიდა ანთებულის სანთლებით. ერთი სანთელი გვერდზედ მოიღრიცა და წვეთა დაიწყო. ცხელი წვეთები „მკვდარს“ არტისტს ზედ სახეზედ ეცემოდა. საწყალმა არტისტმა დიდხანს უძლო ამ ტანჯვას, მაგრამ ბოლოს საქმე გაუჭირდა: სცენაზედ მყოფს არტისტებს წასძახა, მიშველეთ რამე, თორემ ვეღარ მოვითმენო. მაგრამ არტისტებმა ვერაფერი უშველეს. ბოლოს მოთმინებიდგან გამოსული „მკვდარი“ უცბად ფეხზედ წამოხტა, სტაცა ხელი მოღრეცილს სანთელს, მოჰგლიჯა და ისევ არხეინად ტახტზედ წამოწვა. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ „მკვდარის“ უცბად გაცოცხლება განუწყვეტელ ხარხარს გამოიწვევდა საზოგადოებაში.

მეორე არტისტს სცენაზედ თავი ხანჯლით უნდა მოეკლა. არტისტმა ყველაფერი მოხერხებულათ ჩაიდინა და სცენაზედ ვითომ მკვდარი გაიშხლართა. გალერეიას ისე მოეწონა, რომ ყვირილი ასტეხა და მოითხოვა განმეორება. არტისტი, არც აცხელა არც აცივა, უცბად წამოხტა და ხელმეორედ თავი „მოიკლა“.

მესამე არტისტს სკამზედ მჯდომარეს უნდა მოეკლა თავი. საუბედუროდ, მოკვლის დრო როდესაც მოახლოვდა, სცენაზედ სკამი არ აღმოჩნდა. არტისტმა აღარ იცოდა რა ექმნა, ბოლოს მოთმინებიდგან გამოსულმა კულისებში გასძახა: „მოიტანით თუ არა სკამს! ხომ ხედავთ თავი უნდა მოვიკლა და სკამი-კი არსად არის“-ო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 ივლისი.

**პარიჟი.** „Matin“ში გამოქვეყნებულია განცხადება ესტერგაზისა, რომელიც ამბობს, რომ ბორდერო სანდგერის ბრძანებით დავწერეო. შვარც კოპენი ამ დროს ბერლინში იყოო. ბორდერო გაგზავნილ იქმნა იმის ბინაზედ და იქვე, იმის იქ არ დასწრების დროს, უკანვე იქმნა წამოღებული. ბორდერო დრეიფუსის დანაშაულობის დასამტკიცებლად იქმნა შედგენილი. აქამდის თუმცა იცოდნენ, რომ დრეიფუსი დამნაშავეა, მაგრამ საბუთი არა ჰქონდათ. იცოდნენ, მაგალითად, რომ გერმანიას ცნობები ეძლეოდა. ყველა სამხედრო მინისტრმა იცოდა, რომ ღალატი უეჭველი იყო. ესტერგაზი ამბობს შემდეგ, მერსიემ, ბუადერფმა და გონზმა იცოდნენ, რომ ბორდერო განგებ იყო შედგენილი. დრეიფუსი უკანონოდ იქმნა დასჯილი, მაგრამ ადვილი დასამტკიცებელია, რომ დასჯა სამართლიანი იყო.

7 ივლისი.

**ნოვოროსიისკი.** აქ მოვიდა გზათა მინისტრი.

**ბერლინი.** მეფის სასახლეში 14 დღის მგლოვიარობა იქმნა დადებული მემკვიდრე ცესარევიჩის გარდაცვალების გამო.

**პარიჟი.** საკადემიო საბჭომ ერთის წლით დაითხოვა რეიმსის ლიცეის პროფესორი სივეტონი, რომელიც „ფრანგთა სამშობლოს ლიგის“ ხაზინადრად არის, იმის გამო, რომ მან გადასცა დავისს მოსწავლეებს პოლემიკა დრეიფუსის საქმის გამო

## წერილი რედაქციის მიმართ

—

6 ივნისი სუფსის მცხოვრებთათვის ღირს სახსოვარი დღე იყო; ამ დღეს მრავალი ხალხის თანადასწრებით ადგილობრივმა მღვ. მამა ბართლომე ჩხარტიშვილმა აკურთხა სუფსის ~~უფასო სამკითხველო~~, რომლის ზენებას აქაური საზოგადოება შეუდგა ამა წლის ფებერვლიდგან და ეხლა უკვე დაამთავრა. კურთხევის წინ პატივცემულმა მოძღვარმა მშვენიერის სიტყვით მიჰმართა იქ მყოფ საზოგადოებას.

სუფსის უფასო სამკითხველო დაარსებულ იქმნა თავ. გურიელების ძმათა დავითისძეთა თაოსნობით მათ მიერ შემოწირულ მიწაზედ—რკინის გზის სადგურთან ეკკლესიისა და სკოლის გვერდით; მათთვე მიიღეს შრომა და აიღეს ნება-რთვა. შემდეგ ნებართვის აღებისა მოხდა აქაურ საზოგადოების კრება და არჩეულ იქმნა კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ ირიცხება აქაური სადგურის უფროსი ყოველისავე კეთილის საქმის ხელის შემწყობი ალ. ანტ. ანტონოვი, ხოლო წევრებად: მღვ. ბართლომე ჩხარტიშვილი, ბოქ. ალ. ფ. სკორიკოვი, იესე გიორგ. თავართქილაძე, ნიკო გელენიძე, დიმიტრი გიგინეიშვილი და ირაკლი ჭყონია, მოლარეთ სოლომონ ს. ქარცივაძე და გამგედ მასწ. აპ. წულაძე. კომიტეტის წევრნი მხნეთ და ენერგიულად მოეკიდნენ საქმეს და მცირე ხსის განმავლობაში შემონაწირავ მიწაზედ ააშენეს კოპწია საკმაოდ ფართო და შესაფერი სახლი და უკვე გააჩაღეს სამკითხველო. კომიტეტის წევრთა შორის მეტად მადლობის ღირსია ორი უცხო ტომის ადამიანი ბ-ნნი ანტონოვი და სკორიკოვი, რომელთაც არავითარი შრომა არ დაუზოგავთ, მეტადრე ბ. ანტონოვს. ამ პატივცემულმა პირმა 10 მანეთის შეწირვის გარდა, ჩაასმევინა შუშები, გალესა შიგნით გაჯით და გარეთგან შეაღებინა ზეთიანი საღებავით. ათ თუმნამდე დაჯდა, რისთვისაც მადლობას ვწირავთ. ამასთანავე ვუცხადებთ დიდს და ულრმეს მადლობას ქვემოდ დასახელებულთაც, რომელთაც შემოსწირეს ფულად.

ალ. ანტ. ანტონოვმა 10 მ., თ. ჯამბ. გურიელმა 6 მ., მაია ოტ. კომახიძისამ 5 მ., იესე გიორ. თავართქილაძემ 5 მ., ესტატე ნ. ჩხარტიშვილმა 5 მ., ი. ს. ძნელაძემ 5 მ., მღვ. ბ. ჩხარტიშვილმა 5 მ., ი. პრახალსკიმ 5 მ., ნიკო გელენიძემ 3 მ., დიმიტრი გიგინეიშვილმა 3 მ., სოლომონ ს. ქარცივაძემ 3 მ., რეზ. ქელეჯოლლიმ 3 მ., მემ. აბდულოღლიმ 3 მ. ნიკ. შ. ჭყონიამ 3 მ., ალ. ფ. სკორიკოვმა 3 მ., ელ. ჭანიშვილმა 3 მ., გრ. დრობიჩევსკიმ 3 მ., კოსტა გოგიბერისემ 3 მ. ე. ჯაფარიძემ 3 მ. 50 კ., ბესარიონ ბ რეჟიანმა 2 მ. 50 კ., მუხამედ ჩოპოლ 2 მ., პეტრე ჯიჯიეშვილმა 2 მ., კოწ. შარაშიძემ 2 მ., სიმონ კეჭეყმაძემ 2 მ., ს. კუპრაძემ და ლ. ჯიჯიეშვილმა 2 მ., სიმონ გოგოლაიშვილმა 2 მ., აბ. ზახარიანცმა 2 მ., თ. ნიკო თავდგირიძემ 2., ვ. ჩხაიძემ 2 მ., თ. ტელ. გურიელმა 2 მ., ფ. გიორგაძემ 2 მ., ი. მეგრელაძემ 1 მ. და 50 კ., რ. ხუპუტიამ 1 მ. 50 კ., ნ. გუჯაბიძემ და ალ. გორდელაძემ 1 მ. და 50 კ., გ. მიქელაძემ 1 მ., და 50 კ., ირ. ჭყონიამ 1 მ. და 50 კ., გ. გ. გიგინეიშვილმა 1 მ., დ. კაჭაყმაძ 1 მ., კ. სარიშვილმა—1 მ., აზ. ომეროლლმა—1 მ., ს. ნაკაიძემ—1 მ., გიორ. აფხაზავამ—1 მ., პორფ. ჯორბენაძემ 1 მ., ი. ჩიკაშუამ 1 მ., მ. ანთაძემ 1 მ., სიმ. თოდუამ 1 მ., გერ. კვირტიამ 1 მ., გაბ. სარჯველაძემ 1 მ., ნ. მხეიძემ 1 მ., ს. ჭელიძემ 1 მ., კოწია ჭანტურიამ 1 მ., ა. ცენტერაძემ 1 მ., ნ. სიხარულიძემ 1 მ., ივ. ბეჟ. გიგინიეშვილმა 1 მ., კ. გურგენაძემ 1 მ., მატრ. კაჭაყმაძისამ 1 მ., კალ. ხომერიკმა 1 მ., ხ. სარიშვილმა 1 მ., ნ. მეგრელიშვილმა 1 მ., ნესტ. ციკარაძემ 1 მ., ივ. გოგოლაიშვილმა 1 მ., ერ. კანდელაკმა 1 მ., ს. მახარაძემ 1 მ., ბათუმელმა 1 მ., აგ. დავითოღლიმ 1 მ., სოკ. მირიან[illegible] 1 მ., ა. ბერიძემ 1 მ., თ. ვასო გურიელმა 1 მ., მ. ხუტულაიშვილმა 1 მ., ა. ჩხაიძემ 1 მ., გ. გორდელაძემ 1 მ., ერ. ციკარაძემ 1 მ., ვ. იობიშვილმა 1 მ., ი. დარჩიამ 1 მ., ი. გოგვაძემ 1 მ., ელ. თოდუამ 1 მ., სიმ. ქორიძემ 1 მ., ს. ლასაბერიძემ 1 მ., ნესტ. კაჭალმაძემ 1 მ., არუტცევმა 1 მ., ნესტ. ხორგუანმა 1 მ., კოხ. ს. ხაფთასმა 1 მ., ი. კ. კასინბერგმ 1 მ., გ. შარაშანიძემ 1 მ., ბაბიჩმა 1 მ., სალამატინმა 1 მ., ილ. ა. ლალიაშვილმ 1 მ., ალ. ქიშკარიანმა 60 კ., გრიგ. აბ ჭყონიამ 60 კ., კ. კუტუპიძემ 50 კ., იაგ. ლომთათიძემ 50 კ., ს. ანდღულაძემ 50 კ., იპ. ფერაძემ 50 კ., ლ. ებრალიძემ 50 კ., ს. ვაშაკიძემ 50 კ., ხალ. სალუქვაძემ 50 კ., კ. გ. ხომერიკმა 50 კ., ფ. ჭიჭულეიშვილმა 50 კ., და სრულიად 168 მ. 70 კ., ხოლო დახარჯულია: შენობის სყიდვაში 45 მან., ზედ მეტი მასალის შეძენაში 19 მ. 87 კ. ხუროებს ხელფასი 33 მ. 20 კ., გაზეთ-ჟურნალების შეძენა 22 მ. 23 კ., საკანცელარიო ხარჯი 3 მ 67 კ. მოსამსახურეს 20 ფებერ. 20 მაისამდე 6 მ. ნავთი 2 მ. 10 კ. და სრულიად დახარჯულია 132 მ. 7 კ.

წიგნები შემოსწირეს: კნ. ელ [illegible] გურიელისამ, კნ. ნინა გურიელისამ, ქ. სოფიო ჩხარტიშვილისამ, ქ. ვენერა ხომერიკისამ, ქ. ლიზა გირგოლასამ, ქ. მართა [illegible] კეჟამაძისამ, ქ. ელამია წულაძისამ, ბ. [illegible] ლვერტი ტუღუშმა, ბ. კოტა ხომერ [illegible] ბ. სოლომონ ქარცივაძემ, ბ. ნესტ. ხორგ [illegible] ანამ, ბ. ბ. ხომერიკამ, ბ. [illegible] ბ. მოთიშვილმა და ბ. გრ. ლომთათიძემ.

[illegible] შემოსწირეს: თ. ჯამბაკურ გურიელმა, თ. ვახტანგ გურიელმა, ბ. [illegible] ლევან ცხადაძემ, ბ. [illegible] იესე თავართქილაძემ, ბ. ირაკლი ჭყონ [illegible] ბ. ხალამბრე სალუქვაძემ, ბ. კოტ. ხომ [illegible] დელაძემ, სამის თვით უსასყიდლოდ დაგვი [illegible] მის სახლი ბ. ალ. ფ. სკორიკოვმა, ფ [illegible] ლიპე ქანიშვილმა, ბ. ს. დონაძემ [illegible] მანეთით ნაკლებ დაგვითმო სახლი ლო [illegible] ზედ. ყოველივე ეს ანგარიშში მოხსენებ [illegible] და ჩაწერილია ზონარ გაყრილ წიგნში [illegible] ხსენა იგი ყოველთვის ღიას საზოგადოებ [illegible] იმედია, პატივცემულნი ქველ-მოქმედნი [illegible] წიგნების გამომცემელნი არ მოგვაკლებ [illegible] ყურადღებას, აგრეთვე იმედია, არც [illegible] დაივიწყებენ თავიანთ დანაპირებს, რომელ [illegible] თაც ჯერ აღთქმული არ შეუსრულებიათ.

გამგე სუფსის უფ. სამკ. მასწ. ა. [illegible] წულ

Дозволено цензурою. Тифлисъ 7-го Іюля 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგებისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.